

მუხლი 10. მოთხოვნები, რომლებიც წაყენება კანდიდატს

1. თუ სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.
2. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება საკრებულოს დადგენილებით.
3. მოხელეს უფლება აქვს მიიღოს კონკურსში მონაწილეობა საერთო წესის საფუძველზე, მის მიერ დაკავებული თანამდებობის მიუხედავად.

მუხლი 11. კონკურსისათვის წარსადგენი საბუთები

კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადებისა და საბუთების წარდგენა ხდება ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.

მუხლი 12. კონკურსის ჩატარების პროცედურა

1. კონკურსი შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:
 - ა) დოკუმენტაციის შერჩევა;
 - ბ) ტესტირება;
 - გ) გასაუბრება;
2. კონკურსის ფორმას (დოკუმენტაციის შერჩევა, ტესტირება, გასაუბრება), თემატიკას, პირობებს და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს კომისია.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარე კონკურსის ჩატარებამდე არა უგვიანეს 14 დღისა.
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის, აგრეთვე არასაკმარისი მიზეზით დაგვიანების შემთხვევაში კანდიდატი კონკურსის პროცედურაზე არ დაიშვება.

მუხლი 13. დოკუმენტაციის შერჩევა

1. განცხადებათა მიღება იწყება კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს და მთავრდება კონკურსის გამოცხადებიდან მეთოთხმეტე დღის 18:00 საათზე.
2. განცხადებების მიღების დამთავრებიდან 5 დღის ვადაში კომისია ახდენს განცხადებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საბუთების) გადამოწმებას.
3. კონკურსანტის მიერ საბუთების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, ან თუ წარმოდგენილი საბუთები გადამოწმების შედეგად არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, კომისია იღებს გადაწყვეტილებას პირის კონკურსში მონაწილეობის დაშვებაზე უარის თქმის შესახებ.
4. განცხადებების მიღების დამთავრებიდან 5 დღის ვადაში კომისია აქვეყნებს იმ პირთა სიას, რომლებიც იქნენ დაშვებულნი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.
5. კონკურსში მონაწილეთა სიის გამოქვეყნებიდან ტესტირების დაწყების წინა დღის 18:00 საათამდე კონკურსანტებზე გაიცემა კონკურსანტის ფურცელი კონკურსანტის ფოტოსურათით, მისი სახელის, გვარისა და რეგისტრაციის ნომრის მითითებით. კონკურსანტის ფურცელს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე.